

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი



საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტი

„ვამტკიცებ“
რექტორი, პროფესორი

_____ ს. ტეფნაძე

ბრძანება N___ „___“ _____ 20__ წ.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

თბილისი
2015

საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 120 კრედიტის დაგროვებას. 1 კრედიტი = 28 ასტრონომიულ საათს. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. ერთი სასწავლო წელი შედგება ორი, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან და მოიცავს 40 სასწავლო კვირას. თითოეული სემესტრი კი შედგება 20 სასწავლო კვირისგან.</p> <p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 სემესტრი. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს არა უმეტეს ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში.</p> <p><u>შენიშვნა:</u> საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს ქართულენოვანთან ერთად შეისწავლოს ინგლისურენოვანი კომპონენტები (კვლევის მეთოდები ბიზნესში; ავიასაწარმოების პრაქტიკული ეკონომიკა; მენეჯერული აღრიცხვა; ავიაბიზნესი და გლობალური ავიაკომპანიები; ავიაკომპანიების მარკეტინგი და მენეჯმენტი; აეროპორტების მარკეტინგი და მენეჯმენტი; საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვა; კორპორატიული ავიაციის მენეჯმენტი; ავიაკომპანიების ალიანსების სტრატეგიული მენეჯმენტი).</p>
ხელმძღვანელი	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ დუმბაძე

I. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ✓ მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში, რათა დაეუფლოს გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში ავიასაწარმოების ეფექტიანი მართვის მეთოდებსა და სტრატეგიებს, სერვისული მომსახურების ხარისხის მართვის მექანიზმებს, ავიაპროდუქტის პროგნოზირებისა და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვის მეთოდებს, საჰაერო ხაზების კომერციული ექსპლუატაციის მართვის ბერკეტებს.
- ✓ მაგისტრს გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთა საფუძველზეც მიაღწევს ისეთ კომპეტენციებს, როგორცაა ავიაბაზრის რისკების გათვალისწინებით ავიასაწარმოების სამოქმედო სტრატეგიების შერჩევა, ავიასაწარმოების ბრენდისა და პრომო პოლიტიკის ეფექტური მართვა, ავიაპროდუქტის რეალიზების სტიმულირება, ჰაბებს შორის საჰაერო მიმოსვლის დაგეგმვა, ავიასაწარმოს ეკონომიკური საქმიანობის კრიტიკული ანალიზი და მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება, პერსონალთან, კლიენტებთან და პარტნიორებთან ქართულ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია, ბიზნესის კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების პროფესიულ სფეროში დაცვა და არგუმენტირება.

II. დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება შესაბამისი გამოცდების შედეგების საფუძველზე, რაც საერთო სამაგისტრო გამოცდასთან ერთად ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდების ჩაბარებას, ასევე სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

III. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები. კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს შემდეგ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>მაგისტრს უახლოეს კვლევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა აქვს საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკასა და მენეჯმენტის სფეროში, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საჰაერო ტრანსპორტის ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე მიდგომებს; ✓ საერთაშორისო საჰაერო სამართლის ნორმებს, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესებსა და მოთხოვნებს; ✓ მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტს (CRM), ავიაპროდუქტზე ხარისხის კონტროლს და გაყიდვების სტრატეგიას;
-------------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> ✓ ავიასაწარმოების მარკეტინგულ გარემოსა და მიზნობრივი ავიაბაზრების ათვისების მეთოდებს; ✓ საჰაერო ხაზების ფორმირების სტრატეგიას, ჰაბებს შორის ფრენების ორგანიზებას და ავიაპარკის დაგეგმვის მეთოდებს; ✓ ტექნიკური მომსახურების რესურსების მართვის მეთოდებს. <p>მაგისტრი აცნობიერებს გლობალური ავიაბაზრის ცვალებად ბიზნეს გარემოს, „ღია ცის“ პოლიტიკის გამოწვევებს, ავიასაწარმოებს შორის კონკურენციის ზრდის ტენდენციებს და გააჩნია სისტემური ცოდნა დარგში არსებული რისკების დაძლევის მეთოდებისა და გზების შესახებ.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>მაგისტრს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გლობალური ავიაბაზრის მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოში ორიენტაცია და ავიასაწარმოებისათვის შესაბამისი სამოქმედო სტრატეგიის შერჩევა; ✓ მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის გათვალისწინებით საჰაერო ხომალდის ტიპების შერჩევა, საჰაერო ხაზების ქსელის დაგეგმვა და მათი კომერციული ექსპლუატაცია; ✓ ავიასაწარმოების შემოსავლებისა და საფასო პოლიტიკის მართვა; ✓ ავიასაწარმოების მარკეტინგული გარემოს შესწავლა და ორიგინალური გზებით ავიაპროდუქტის გაყიდვების სტიმულირება; ✓ ავიაპროდუქტის ხარისხის კონტროლი; ✓ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესის დაგეგმვა და მართვა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>მაგისტრს გააჩნია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ავიასაწარმოებისათვის სამოქმედო სტრატეგიის შერჩევის მიზნით, ავიაბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; ✓ ბიზნეს კვლევის საფუძველზე მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების, კრიტიკული ანალიზისა და მათი სინთეზის უნარი; ✓ ავიასაწარმოების საოპერაციო და ფინანსური ინფორმაციის ანალიზის და მასზე დაყრდნობით საოპერაციო და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მაგისტრს გააჩნია დარგის სპეციალისტებთან და აკადემიურ წრეებთან საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე ტენდენციების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, საკუთარი მოსაზრებისა და არგუმენტირებული დასკვნების კომუნიკაციის უნარი.</p>

სწავლის უნარი	<p>მაგისტრს შეუძლია პროფესიული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად აიმაღლოს ცოდნა დარგში არსებული ლიტერატურისა და სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის მეშვეობით.</p> <p>საკუთარი ცოდნის კრიტიკული შეფასების საფუძველზე, მაგისტრი აცნობიერებს სწავლის გაგრძელების საჭიროებას და სტრატეგიულად გეგმავს მომავალი სწავლის პროცესს.</p>
ღირებულებები	<p>მაგისტრი აცნობიერებს წარმატებული ბიზნესის საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელ პირად და გუნდური პასუხისმგებლობის საკითხებს; იცავს ეთიკურ ნორმებსა და მორალურ პრინციპებს, რომლებიც ავიაბიზნესის სფეროში მოქმედ თამაშის წესებს ემყარება; გააჩნია ავიაბიზნესის მართვის სტრატეგიული ხედვა, რომელიც საჭირო ხაზებზე სერვისული მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და მართვის ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვის სწრაფვას ეფუძნება.</p>

IV. დასაქმების სფერო

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჭირო ტრანსპორტის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, კერძოდ ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, ავიასააგენტოებში, საავიაციო ქარხნებში, სადაზღვევო კომპანიებში, სახელმწიფო მართვის ორგანოებში, საბანკო სექტორსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჭირო ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალიზაციით.

V. სასწავლო კურსების სწავლების ფორმა

პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების შესწავლა ხორციელდება ლექციებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, პროფესიული პრაქტიკის მიმდინარეობისას. პროგრამის შესაბამისად სტუდენტის მიერ საგნების შესწავლა უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი მეცადინეობის დროსაც.

სწავლების ფორმებია:

- **ლექცია** - სტუდენტებისადმი თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა სილაბუსით განსაზღვრული თემების მიხედვით;
- **პრაქტიკული მეცადინეობა** - ჯგუფთან სალექციო მასალის შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების, ზეპირი და ტესტური სამუშაოების, პრეზენტაციების, დისკუსიებისა და სხვა სამუშაოების ფარგლებში ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოვლენა/შეფასება;
- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მეცადინეობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განხილული თემების ათვისებისათვის და შუალედური შემოწმებისა და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის სამუშაო დრო;

- **პროფესიული პრაქტიკა** - ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

VI. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა-პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები.

2. დისკუსია/დებატები - სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი, ინტენსიურად ჩაერთონ დისკუსიაში და განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა.

3. შემთხვევების შესწავლა (Case study) - ლექტორი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საერთაშორისო ბაზარზე ავიაკომპანიების მიერ პრიორიტეტული მომხმარებელთა სეგმენტის გამოვლენის მიზნით სამგზავრო და საბარგო გადაყვანა-გადაზიდვების მოცულობაზე მოქმედი ფაქტორების განხილვა, კერძოდ: ავიაბაზრის მოცულობა, მგზავრის გადახდისუნარიანობა, ქვეყნის დემოგრაფია, ფრენის სეზონურობა და სხვა.

4. დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

5. წერიტი მუშაობის მეთოდი - რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება და სხვ.

6. ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

7. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;

- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის

აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.;

- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

8. პრეზენტაცია ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

9. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

10. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

11. საქმიანი (როლური) თამაშები - სხვადასხვა სიტუაციებში, წინასწარ დადგენილი წესებით, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების იმიტაციური მეთოდი (რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტების ჩატარების გარეშე მოვლენის შინაარსის გაცნობიერება) სიუჟეტურ-როლებიანი თამაშის ორგანიზაციის გზით. იგი სტუდენტებისათვის სინამდვილესთან მიახლოებულ სიტუაციაში ადეკვატური ქცევის ნორმების შეცნობის საშუალებაა, რომელიც აუცილებლად მოიცავს თამაშის მიზნის, დავალების, პირობების და წესების გაცნობას.

12. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

13. სოკრატისეული მეთოდი - აღნიშნული მეთოდის მიხედვით სტუდენტები ვალდებული არიან, ლექციამდე წაიკითხონ და წინასწარ მოამზადონ ლექციისათვის გათვალისწინებული მითითებული მასალა, მოინიშნონ მათთვის საინტერესო საკითხები და პრობლემები, იფიქრონ ლექტორის მიერ შესაძლო კითხვებზე. ამ სტრატეგიის შედეგად ლექციას აღარ ექნება მონოლოგის სახე. ამის საპირისპიროდ თითოეული სტუდენტი აქტიურად იქნება ჩართული ლექციის მსვლელობაში, ვალდებული იქნება პასუხი გასცეს ლექტორის მიერ დასმულ კითხვებს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და მოახდინოს მისი სამართლებრივი დასაბუთება. შედეგად, ძირითადი დრო ლექციისა დაეთმობა ანალიზს, არგუმენტაციას, აზრთა გაცვლას.

14. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;

- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

15. ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

VII. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მის მიერ გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას - 60 ქულა (ერთი შუალედური შემოწმება და მიმდინარე შეფასება ან ორი შუალედური შემოწმება);
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას - 40 ქულა.

სტუდენტთა შეფასების სქემა, პერიოდულობა და კრიტერიუმები მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტის ათვისებას ადასტურებს სილაბუსით დადგენილი სამუშაოების შესრულებაში მიღებული დადებითი შეფასება.

VIII. გამოცდები

დასკვნითი გამოცდა

ა) დასკვნითი გამოცდა (წერთი ფორმით) ტარდება სასწავლო პროცესის კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

ბ) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების ჯამური ქულისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა;

გ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40;

დ) დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 11 ქულა და მეტი;

ე) თუ სტუდენტმა შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგების შეჯამების საფუძველზე დააგროვა 41-50 ქულა, მაშინ მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ვ) თუ დასკვნითი გამოცდის და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამი შეადგენს 40 და ნაკლებს, სტუდენტი დამატებით გამოცდაზე არ დაიშვება და მის სემესტრულ შეფასებად ჩაითვლება “F” (ჩაიჭრა) შესაბამისი ქულით. სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს სასწავლო კურსი.

დამატებითი გამოცდა

ა) სტუდენტს უფლება აქვს დამატებით გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ;

ბ) დამატებით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება 11 და მეტი ქულა;

გ) დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება 0 ქულით და მისი სემესტრული შეფასება იქნება „F” (ჩაიჭრა);

დ) დამატებით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასება ავტომატურად განსაზღვრავს სტუდენტის შესაბამის სემესტრულ შეფასებას - 0 ქულა - „F” (ჩაიჭრა);

ე) თუ შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს „FX“- ს (ვერ ჩააბარა) ან „F“- ს (ჩაიჭრა) შესაბამის ქულებს, სტუდენტს შეუძლია ხელახლა შეისწავლოს სასწავლო კურსი.

IX. მაგისტრატურის პროგრამის სტრუქტურა სემესტრების მიხედვით

	სასწავლო კურსის დასახელება	კომპონენტის კოდი	დამფუძვლები წინაპირობა	კრედიტი	საათები				სწავლების წლები და სემესტრები				სულ კრედიტი
					სულ	საუდიტორო	ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ გამოცდა	დამოუკიდებელი	I		II		
									I კრედიტი	II კრედიტი	III კრედიტი	IV კრედიტი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	18
საფაკულტეტო ზოგადი კომპონენტი													
1	აკადემიური წერა	DEP.2.2.4.	წინაპირობის გარეშე	6	168	49	29/16/4	119	6				6
2	უმალესი სკოლის პედაგოგია	DEP.2.2.1.	წინაპირობის გარეშე	6	168	49	30/15/4	119	6				6
3	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	LAW.4.2.1	წინაპირობის გარეშე	6	168	49	28/17/4	119		6			6
	სულ			18	504	147		357	12	6	0	0	18
სპეციალობის სავალდებულო კომპონენტები													
4	კვლევის მეთოდები ბიზნესში	BUS.1.2.14	წინაპირობის გარეშე	6	168	49	28/17/4	119	6				6
5	ფინანსური აღრიცხვა	BUS.1.2.15	წინაპირობის გარეშე	6	168	49	15/30/4	119	6				6
6	ავიასაწარმოების პრაქტიკული ეკონომიკა	BUS.1.2.16	წინაპირობის გარეშე	6	168	49	28/17/4	119	6				6
7	გლობალური ბიზნესი	BUS.1.2.17	წინაპირობის გარეშე	6	168	49	28/17/4	119		6			6
8	მენეჯერული აღრიცხვა	BUS.1.2.18	BUS.1.2.15	6	168	49	26/19/4	119		6			6
9	საქმიანობის შედეგების მართვა (ACCA F5)	BUS.1.2.19	BUS.1.2.15	6	168	49	15/30/4	119		6			6
10	ავიაბიზნესი და გლობალური ავიაკომპანიები	BUS.1.2.20	BUS.1.2.16	6	168	49	28/17/4	119		6			6
11	ავიაკომპანიების მარკეტინგი და მენეჯმენტი	BUS.1.2.21	BUS.1.2.16	6	168	49	28/17/4	119			6		6
12	აეროპორტების მარკეტინგი და მენეჯმენტი	BUS.1.2.22	BUS.1.2.16	6	168	49	28/17/4	119			6		6
13	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვა	ENG.2.2.3	წინაპირობის გარეშე	6	168	49	28/17/4	119			6		6
14	პროფესიული პრაქტიკა	BUS.1.2.24	BUS.1.2.21;	6	168	68	0/60/8	100				6	6

			BUS.1.2.22											
15	სამაგისტრო ნაშრომი	BUS.1.2.25	BUS.1.2.14; BUS.1.2.20; BUS.1.2.21; BUS.1.2.22	24	672	32	0/18/14	640					24	24
	სულ			90	2520	576		1930	18	24	18	30	90	
სპეციალობის არჩევითი კომპონენტები														
16	კორპორატიული ავიაციის მენეჯმენტი	BUS.1.2.26	BUS.1.2.20	6	168	49	28/17/4	119						
17	ავიაკომპანიების ალიანსების სტრატეგიული მენეჯმენტი	BUS.1.2.27	BUS.1.2.20	6	168	49	28/17/4	119			12			12
18	ავიასაწარმოების ფინანსური ანალიზი	BUS.1.2.28	BUS.1.2.18	6	168	49	14/31/4	119						
	სულ			18	504	147		357	0	0	12	0	12	
ს უ ლ														
									30	30	30	30	120	

X. სწავლის შედეგების რუქა

N	სასწავლო კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	აკადემიური წერა	X	X	X		X	
2	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	X	X		X	X	X
3	საერთაშორისო საჰაერო სამართალი	X	X				X
4	კვლევის მეთოდები ბიზნესში	X	X	X	X	X	
5	ფინანსური აღრიცხვა	X	X	X	X		
6	ავიასაწარმოების პრაქტიკული ეკონომიკა	X	X	X	X	X	
7	გლობალური ბიზნესი	X	X				X
8	მენეჯერული აღრიცხვა	X	X	X	X		
9	საქმიანობის შედეგების მართვა (ACCA F5)	X	X	X			
10	ავიაბიზნესი და გლობალური ავიაკომპანიები	X	X	X		X	
11	ავიაკომპანიების მარკეტინგი და მენეჯმენტი	X	X	X	X		X
12	აეროპორტების მარკეტინგი და მენეჯმენტი	X	X	X	X		X
13	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მართვა	X	X				
14	პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
15	სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X
16	კორპორატიული ავიაციის მენეჯმენტი	X	X				
17	ავიაკომპანიების ალიანსების სტრატეგიული მენეჯმენტი	X	X		X		
18	ავიასაწარმოების ფინანსური ანალიზი	X	X	X	X		

XI. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები), ლინგაფონის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

ადამიანური რესურსი

პროფესორ - მასწავლებლები		
N	სახელი გვარი	დაკავებული თანამდებობა
1	დუმბაძე ნოდარი	პროფესორი
2	სუხიტაშვილი იური	პროფესორი
3	ნონიაძე ალექსი	ასოცირებული პროფესორი
4	დოლიაშვილი თინათინი	ასოცირებული პროფესორი
5	გიორგობიანი ქეთევანი	ასოცირებული პროფესორი

მოწვეული სპეციალისტები		
1	გრიგოლაია ნინო	მოწვეული სპეციალისტი
2	კიკნაძე შალვა	მოწვეული სპეციალისტი
3	ასათიანი ავთანდილი	მოწვეული სპეციალისტი
4	გაბიჩვაძე შორენა	მოწვეული სპეციალისტი
5	ჭუმბურიძე მარიამ	მოწვეული სპეციალისტი
6	ანანიაშვილი ანა	მოწვეული სპეციალისტი
7	მასურაშვილი როსტომი	მოწვეული სპეციალისტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,
პროფესორი

ნ. დუმბაძე

შეთანხმებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი, პროფესორი
-----ქ. დავითაძე

განხილულია
საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის
ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი N ___ „___“ _____ 2015 წ.
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

----- გ. იმედაშვილი